



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030150739424420

№ 01-208/ო

19 / მაისი / 2020 წ.

ძალადობისა და უგულვებელყოფისგან ბავშვის დაცვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპი) დამტკიცების თაობაზე

ბავშვის უფლებათა კოდექსის, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის № 437 დადგენილებით დამტკიცებული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, შესაბამისად და „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანების 7² მუხლისა და „სამედიცინო დანესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის 6^{6-6¹⁶} პუნქტების გათვალისწინებით, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „ძალადობისა და უგულვებელყოფისგან ბავშვის დაცვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (სოპი)“ თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდანსმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე